



ქაბულში იტალიელი
მძევალი
გაათავისუფლეს

A5



სახაზინო
ვალდებულებებით
ვაჭრობა შეიკრძალება

A6



გამოთხოვება
ალავერდთან

B1

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

გაზეთი, 11 ივნისი, 2005 წელი. №130 (990)

ფასი 50 თეთრი

ყურადღება!

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge
საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

იურიდიული ოფისი „გაპი“
და გაზეთი „24 საათი“

ანონსირდება პროექტის,
რომლის მიზანსაც
ნაპროექტის
მოსახლეობისათვის
სამართლებრივი
დახმარება.

A7

აღინი

	11/06	12/06	13/06
თბილისი	32 ☀	31 ☀	27 ☁
ქუთაისი	36 ☁	26 ☁	26 ☁
ბათუმი	36 ☁	20 ☁	22 ☁
სოხუმი	33 ☁	23 ☁	23 ☁
ფოთი	37 ☁	22 ☁	23 ☁
თელავი	31 ☀	30 ☀	27 ☁
ზუგდიდი	38 ☁	25 ☁	25 ☁
გორი	30 ☀	25 ☁	25 ☁
ახმეტა	32 ☀	31 ☀	27 ☁
ჭიათურა	33 ☀	26 ☁	26 ☁
ბაზრა	30 ☁	24 ☀	23 ☁
სამტრედი	37 ☁	25 ☁	25 ☁

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი
ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8201
ევრო	2.2249
ბრიტანული სტერლინგი	3.3124
რუბლი	0.0639

A	B
აგვისტო	აგვისტო
აგვისტო	აგვისტო
საზოგადოება	საზოგადოება
უცხოური	უცხოური
კომუნიკაცია	კომუნიკაცია
სამართალი	სამართალი
მედიკოსების	მედიკოსების

ალექსანდრა ლუკაშენკო მალე "პერსონა ნონ გრატად" გამოცხადდება

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს პარლამენტი "ოპერატიულად" რეაგირებს ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს გადაწყვეტილებაზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის ცალმხრივი სავიზო რეჟიმის დანერგვას ითვალისწინებს. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის კოტე გაბაშვილის ინიციატივით, შემუშავდა დადგენილების პროექტი, რომელშიც ალექსანდრე ლუკაშენკო "დიქტატორად", ხოლო მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება "შეუფერებელ ნაბიჯად" არის მოხსენიებული.

საქართველოს პარლამენტი ანალოგიური ნაბიჯის გადადგმას საჭიროდ არ მიიჩნევს, რადგან ფიქრობს, რომ ბელარუსი ხალხი არაფერ შუაშია და მისი ავტოკრატი ლიდერის ქმედებების გამო ის არ უნდა დაისაჯოს. სამაგიეროდ, დადგენილების პროექტი შეიცავს მოთხოვნას საქართველოს ტერიტორიაზე ალექსანდრე ლუკაშენკოს "პერსონა ნონ გრატად" გამოცხადების შესახებ. გარდა ამისა, დოკუმენტი საუბარია მინსკში განთავსებული დსთ-ს სტრუქტურებიდან საქართველოს წარმომადგენლების გამოწვევის მიზანშეწონილობის თაობაზე.

გაგრძელდება A3 გვერდზე



ქართული პოლიტიკის ლიდერი ქალბი ლუკაშენკოს საქართველოში ჩამოსვლას უკრძალავს.

"მოგებას" ყველა თავისკენ ექარება

პარლამენტის გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე მთავრობამ, პირველი მოსმენით, განსახილველად წარადგინა "საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შენობისაგან ბიუჯეტის შორის განაწილების შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტი, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენელი და მაჟორიტარი დეპუტატების გარკვეული ნაწილი ეწინააღმდეგება. მათი აზრით, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ისედაც სუსტ ადგილობრივ თვითმმართველობას საბოლოოდ დაასაბრებს.

გიორგი ასანიშვილი

კანონპროექტის თანახმად, მოგების გადასახადი, რომელიც აქამდე მთლიანად ადგილობრივ ბიუჯეტში მიემართებოდა, 2006 წლის 1 იანვრიდან ცენტრალურ ბიუჯეტში შევა,

რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლით წარმოადგენს დაახლოებით 250 მილიონ ლარით გაზრდის. ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის მიყენებული ზარალის კომპენსირებას მთავრობა რაიონებისათვის ტრანსფერების

გაგრძელდება A3 გვერდზე

თავისუფლებაზე ოცნების მეხუთე ანაბეჭდი



საქართველო მისამართი სახლი გაშვება პირ მოახრება

მაია მუხრანოვილი
ქართული

იმერეთის სახელისუფლებო რგოლებს შორის არსებული დაპირისპირება ახალ ფაზაში შევიდა. ამჯერად ანგარიშსწორების მეთოდები უფრო მკაცრი და სანახაობრივი გახდა. ბოლო ორი დღის განმავლობაში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ იმერეთში განხორციელებული სპეცოპერაციების შედეგად ორი სახელმწიფო მოხელე დააკავეს. ქუთაისის საკრებულოს წევრს თამაზ ტყეშელაშვილს ერთ-ერთი მოქალაქისგან ქრთამის სახით 2700 ამერიკული დოლარის აღება ედება ბრალად. ზესტაფონის მერის მოვალეობის შემსრულებელს მირიან ბერუაშვილს კი - კახა ბერაძისგან 1500 ლარის აღება. იმერეთში საუბრობენ, რომ ორივე შემთხვევაში განხორციელებული სპეცოპერაციების კვალი სახელისუფლებო დაპირისპირებამდე მიდის. ბერუაშვილის შემთხვევაში, მისი ახლობლები ზესტაფონის გამგებელსა და მაჟორიტარ დეპუტატთან დაპირისპირებაზე მიანიშნებენ. ქუთაისში კი, საკრებულოს წევრის დაკავება მისი კოლეგებისთვის ერთგვარი "ჭკუის სწავლების" დემონსტრირებას უფრო ჰგავს.

უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში ქუთაისის საკრებულო სამი თვის წინ დაშვებული "შეცდომის" გასასწორებლად ემზადებოდა. "შეცდომების გასწორებისკენ" საკრებულოს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალმა" უბიძგა. საკრებულოს მიეცა

გაგრძელდება A3 გვერდზე

საქონლის საბუნების დაბუნების "ვარდების ბაღში"

ნანა ქადაგიშვილი

თბილისის საკრებულოს გუშინდელი სხდომა მოსალოდნელზე მშვიდობიანად დასრულდა. ხმაურის ძირითადი მიზეზი უნდა გამხდარიყო ქალაქის მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც, ბიუჯეტის 20 მილიონი ლარით გაზრდილი ხარჯებიდან დაზარალებული მოსახლეობისთვის არაფერია გათვალისწინებული. მთავრობას აღნიშნული დადგენილება გუშინდელ სხდომაზე აღარ გამოუტანია. თუმცა, ოპოზიციურმა ფრაქციებმა სხდომის გამწვავების საფუძველი მაინც იპოვეს. დაპირისპირების მთავარი თემა მერიის მოსამსახურეთა საკონკურსო-საბუნების კომისიის დებულება აღმოჩნდა.

ქალაქის მთავრობამ საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინა ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საბუნების კომისიის დებულებაში შესატანი დამატებების პროექტი. ცვლილებები, ძირითადად, საპრეტენზიო კომისიის შექმნა-დაკომპლექტებას (დებულების მეშვიდე მუხლი) ეხება. გუშინდელ სხდომაზე განსაკუთრებით მწვავე კამათი სწორედ ამ მუხლის მეოთხე თავზე გამოიწვია. "საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის წევრებს ნიშნავს თბილისის მერი," - წერია აღნიშნულ მუხლში. "როგორ წარმოგიდგენიათ, როცა საკონკურსო-საბუნების კომისიის ხელმძღვანელი ზურაბ ჭიბერაშვილია, შეიძლება, საპრეტენზიო კომისიის ხელმძღვანელი და წევრებიც მან შეარჩიოს?" - აღმუთხდნენ "მემარჯვენეები".

გაგრძელდება A2 გვერდზე

საქრებულომ
მესამე
მთავრობის
ახალი გაშვებ
ვარ მოახერხა.

პირველი გვერდიდან

რეკომენდაცია მათ მიერ 2 მარტს მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებით (N112) ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა დებულებაში შევიდა ცვლილება, რომლის შედეგად 69-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტში ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: მერის არყოფნის შემთხვევაში, მოვალეობას ასრულებს პირველი მოადგილე, ხოლო ამ უკანასკნელის არყოფნის შემთხვევაში - მერის მოადგილე. სწორედ ამ გადაწყვეტილების შედეგად შეუძლავ მერის რიგით მოადგილედ დანიშნული ზესიკ გულორი-დავა მერის მოვალეობის შესრულება. საკრებულოს მიერ ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, გულორიდავას მერის მოვალეობის უფლებამოსილება უწყევდ და, შესაბამისად, ამ რანგში მის მიერ გამოცემული ყველა ადმინისტრაციული დოკუმენტი ბათილია.

აღნიშნულ საკითხზე ქუთაისის საკრებულოს 10 ივნისის სიმბოძეზე უნდა ემსჯელოს. სიმბოძის დღის წესრიგში ჩაინერგა კიდევ - "ქალაქ ქუთაისის საკრებულოს N112 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ საკითხის საკრებულოს სიმბოძის დღის წესრიგში შეტანის შესახებ". მაგრამ ერთი დღით ადრე საკრებულომ რიგით მესამე მთავრობის სახლში გაკვლილზე უარ თქვა. ან თუქვიონის

"საკრებულოს თავმჯდომარის აქვს უფლება, შეადგინოს დღის წესრიგი, შეიტანოს საკითხები, აგრეთვე, სანადამტკიცებდა, პროექტში ცვლილებები შეიტანოს. მე ჩემი უფლებები ვისარგებლო მიიგნობ, რომ ქალაქის მერმა მოგმართა წერილით, რომელშიც იყო თხოვნა, რაღაც საკითხზე გარკვეულიყო და მერ გვემსახლა ამაზე," - აცხადებს საკრებულოს თავმჯდომარე გელა ქაიაშვიდი.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქუთაისის მერიასა და საერო-ბულის შორის თანამშრომლობა პრაქტიკულად მოძლიერა, ძნელი არაა დასადგენია, საკრებულის განზრახვაზე მერის წერილობით თხოვნას ემყარება. საკრებულის წევრი თამაზ ტყემელაშვილი სხდომაზე ერთი დიდი დერე, 9 ივნისს დააკავეს. იმავე დღეს ქათამაძე დღის წესრიგის პრეზენ-ტიდაც ზემოთ აღნიშნული საკითხი აპილი. 10 ივნისის სხდომაზე ქუთაისის მარცხადადგენილი-თა კერძო წარმომადგენლები თუ კერძო წარმომადგენლები მოჰყარეს მერის ანგარიშების მოსაწინებ შემოვიფარგლა.

“არ გვინდა დაპირისპირება”,
“ამას კეთილგანზობით გუუბნე-
ბით”, “რაში გიმოვით ხელს საკრე-
ბულო?” - ეს ის ფრაზებია, რომლე-
ბიც საქართველოს წევრების მხრიდ-
ან 10 ივნისის სტადიონზე ისმოდა
მთავრობის წევრების მიმართ.

საქრებულოს მხრიდან პოზიციების მორიგი დათმობის მიუხედავად, N112 გავაუმჯობესების კანონიერებას ამჯერად ქუთაისის საოლქო სასამართლო დაადგენს. შესაბამისი სარჩევები სასამართლოს უკვე მიღებული აქვს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ფორფილი უფროსის არჩილ მუკებანიასა და "დემოკრატიის ხელშეწყობის ცენტრის" მობიდან. აღნიშნული საქმეების განხილვას საოლქო სასამართლო მომავალი კვირითაც შეუდგება.

საქმის მომწივანი მხარეების სასარგებლოდ გადაწყვეტა ქუთაისში მორიგ საკადრო ცვლილებას გამოიწვევს, ან, საუკეთესო შემთხვევაში, ვადადელი არჩევნები დაინიშნება. ქვეყნის უმაღლესი პირისგან ასეთ სვლას ქუთაისში ნაკლებად ელიან და ამბობენ, რომ შესაძლოა ქუთაისში საპრეზიდენტო მმართველობა გამოეცხადოს.

“საპროზიდენტო მმართველობა ქვეყნის არც ერთ რეგიონში არ განხორციელებულა და თუ ამის უყოცებლობა დადგება ქუთაისში, დადგება. ქუთაისი ყოველთვის იყო ექსპერიმენტების ქალაქად მიჩნეული და იქნება, ამასობა ჩაატარო ექსპერიმენტი,” - აცხადებს ქუთაისის საკრებულოს მდივანი ვანო ფორჭოლაძე “24 საათთან” საუბრისას.

საპრეზიდენტო მმართველობის შემთხვევაში, უკუთასი საკრებულოც იმავე ბედს გაიზიარებს, რაც ერთი წლის წინ არჩეულ მერს ხვდა წილად. მაშინაც კი, 9 ივნისის თხუთმეტკაციანი წარმომადგენლობით ორგანოს ერთ წევრი უკვე გამოაქვდა. თამაზ ტყეშელაშვილმა თავის დროზე საკრებულოში ბონდო შალიკიანი შეცვალა. ტყეშელაშვილის შეცვლაშიც მისი თიბაზზე საკრებულო მას ჰქმნდა იმსჯელებს, რაც მის ბრალეულობას მართლმსაჯულებაც ოფიციალურად დაადასტურებს.



"მოგებას"
ყველა თავისკენ ექარება

პირველი გვერდიდან

გაზრდით აპირებს. თავის განზრახვას მთავრება იმით ამართლებს, რომ მოგების გადასახადი, თავისი ბუნებით, საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების კატეგორიაა განეკუთვნება და, ამდენად, ის ადგილობრივში კი არა, არამედ ევტრალურ ბიუჯეტში უნდა მიდიოდეს.

გარდა ამისა, კანონარექტის მხარდამჭერები ამ ნაბიჯის პოლიტიკურ მიზანშეწონილობაზეც საუბრობენ და აცხადებენ, რომ მოხდება სოლიდური ფინანსური სახსრების კონსოლიდაცია, რაც მთავრობას შესაძლებლობას მისცემს, პრიორიტეტულად მიჩნეული სფეროებისკენ (განათლება, ენერგეტიკა, ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა) დამატებითი თანხები მიმართოს.

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად დაზარალებიან ის რაიონები, რომელთა ბიუჯეტშიც მოგების გადასახადიდან მნიშვნელოვანი სახსრები შედის.

ასეთებია, მაგალითად, ბორჯომი, ბოლნისი და თბილისი. თუმცა, ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანის მტკიცებით, დედაქალაქის ხელმძღვანელობა გაგებით ეკი-

დება აღმასრულებელი ხელისუფლების განზრახვას, რომ ღარიბი რაიონები "მდიდრების" ხარჯზე განვითარდნენ.

მაჭვარიანისგან განსხვავებით, ბოლოჯონის მაფორმირარი დეპრესიები ნიღარ გრეგავამეილი საკანონმდებლო ცვლილებების წინააღმდეგია. იგი მთავრობას სთავაზობს კომპრომისს, რომ "მედიდარი რაიონებიდან" ცენტრალურ როუჯებიანს შეაღეს მოგების გადასახადის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტის დატოვარა მუხლების დაფინანსების შემდეგ დაარჩება.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი გოდაბერიძე დღევანდების მსგავსი დღეები გამოცემაზე და შეახსენებს მათ, რომ დაცულ მუშებში, როგორც ასეთი, თუჯატიკები უკვე აღარ არსებობს.

“მომავალ წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნება და ზოგადიონი მაჟორიტარი უკვე დღიდან იწყებს ამოსივის მზადებას,” - ასე ხსენის დალკეულ პარლამენტართა აქტიურნობა მთავრობის ნარმომადგენლობა.

კანონპროექტის მეორე და მესამე მოსმენით განხილვა მომავალ კვირაში პლენარულ სხდომაზე გაგრძელდება.



მიხეილ მაჭავარიანს ცალ-ცალკე უწევდა დეპუტატების დარწმუნება საკანონმდებლო ცვლილებების მიზანშეწონილობაში.

შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს თბილისი-ბათუმი დანიშნულებით მოძრავი საფარმო მატარებლის მგზავრთა მაღალი ხარისხის თეთრულით მომარაგებაზე. მსურველებმა ა/ნ 20 ივნისამდე წარმოადგინეთ თქვენი წინადადებები და თეთრულის ნიმუშები ფასის მიხედვით.

საფირმო მატარებელზე შტაბრების ტარიფი (დარიფები) ძალაშია 2005 წლის 1 ივლისიდან								
ნაწილი №№	მანძილი კმ	სრული			საბაჟო			
		I კლასი	II კლასი	III კლასი	I კლასი	II კლასი	III კლასი	
1	2	3	4	5	6	7	8	9
5	1-50	23.50	15.50	7.50	13.30	9.30	5.30	
6	51-60	23.50	16.50	7.50	13.30	9.80	5.30	
7	61-70	24.50	16.50	7.50	13.80	9.80	5.30	
8	71-80	24.50	16.50	4.50	13.80	9.80	5.30	
9	81-90	25.50	17.50	7.50	14.30	10.30	5.30	
10	91-100	25.50	17.50	7.50	14.30	10.30	5.30	
11	101-110	26.50	17.50	7.50	14.80	10.30	5.30	
12	111-120	26.50	17.50	8.50	14.80	10.30	5.80	
13	121-130	27.50	18.50	8.50	15.30	10.80	5.80	
14	131-140	28.50	18.50	8.50	15.80	10.80	5.80	
15	141-150	28.50	18.50	8.50	15.80	10.80	5.80	
16	151-160	29.50	19.50	8.50	16.30	11.30	5.80	
17	161-170	29.50	19.50	8.50	16.30	11.30	5.80	
18	171-180	30.50	19.50	9.50	16.80	11.30	6.30	
19	181-190	30.50	19.50	9.50	16.80	11.30	6.30	
20	191-200	31.50	20.50	9.50	17.30	11.80	6.30	
21	201-210	31.50	20.50	9.50	17.30	11.80	6.30	
22	211-220	32.50	20.50	9.50	17.80	11.80	6.30	
23	221-230	32.50	21.50	9.50	17.80	12.30	6.30	
24	231-240	33.50	21.50	9.50	18.30	12.30	6.30	
25	241-250	34.50	21.50	10.50	18.80	12.30	6.80	
26	251-260	34.50	21.50	10.50	18.80	12.30	6.80	
27	261-270	35.50	22.50	10.50	19.30	12.80	6.80	
28	271-280	35.50	22.50	10.50	19.30	12.80	6.80	
29	281-290	36.50	22.50	10.50	19.80	12.80	6.80	
30	291-300	36.50	23.50	10.50	19.80	13.30	6.80	
31	301-310	37.50	23.50	10.50	20.30	13.30	6.80	
32	311-320	37.50	23.50	11.50	20.30	13.30	7.30	
33	321-330	38.50	23.50	11.50	20.80	13.30	7.30	
34	331-340	38.50	24.50	11.50	20.80	13.80	7.30	
35	341-350	39.50	24.50	11.50	21.30	13.80	7.30	
36	351-360	40.50	24.50	11.50	21.80	13.80	7.30	
37	361-370	40.50	25.50	11.50	21.80	14.30	7.30	
38	371-380	41.50	25.50	11.50	22.30	14.30	7.30	
39	381-390	41.50	25.50	12.50	22.30	14.30	7.80	
40	391-400	42.50	25.50	12.50	22.80	14.30	7.80	

აღიქსნადრე
 ღუქანქო მალე
 "ვერსონა ნონ ბრატად"
 გამოცხადდება

პირველი გვერდიდან

საგარეო ურთიერთობათა
კომიტეტის მიერ მომზადებულ
დადგენილების პროექტში ასევე
ხაზგასმულია, რომ ალექსანდრე
ლუკაშენკოს მიერ ცალმხრივი
სავიზო რეჟიმის შემოღება ბიშ-
კეის შეთანხმებას ეწინააღმდე-
გობა.

ქართველი პარლამენტარები იმისთან დაკავშირებითაც გამოიქვამდა უკმაყოფილებას, რომ ბოლო პერიოდში სისტემატური სახიათ მიიღო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ მთავრობებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე რუსეთის მოქალაქეების დანიშვნა, რომლებიც სოხუმში და ცხინვალში უკანონოდ იმყოფებიან, რადგან საქართველოს ხელისუფლების მიერ გაცემული ვიზები არ გააჩნიათ. კოტე გაბაშვილის თქმით, აუცილებლად უნდა დადგას ამ პირთა საულისმგებლობის საკითხი.

ალექსანდრე ლუკაშენკოს მი-
ერ გადადგმულ ნაბიჯს საქართ-

ველოს პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე "ბელარუსის დღევანდელი ხელისუფლების აგონიად" აღასკბს.

იგი გამოთქვამს იმედს, რომ ბელარუსში მალე დემოკრატიული ფასეულობები დამკვიდრდება და ჩვენს ქვეყანას ბელარუს ხალხთან და მის დემოკრატიულ ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობები ექნება.

ნინო ბურჯანაძე დღეს თემაზეც საუბრობს და შენიშნავს, რომ "ბელარუსის მიერ სავიზო რეჟიმის დაწესება კიდევ ერთხელ ადასტურებს თანამეგობრობის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების გარკვეულ არაეფექტურობას."

დადგენილების პროექტის გა-
ხილვა და მიღება გუშინ ვერ მო-
ხერხდა, რადგან პრეზიდენტის
ინიციატივით მონვეული რიგა-
რუმე სხდომის დღის წესრიგში
აღნიშნული საკითხი შეტანილი
არ ყოფილა. დოკუმენტს, სავარა-
უდოდ, დაუმბათის პლენარულ
სხდომაზე ეყრება კენჭი.

**მეტალურგიულ ქოგინატს
ქველი ქონება და ახალი
ვალე დაუბრუნდება**

სააქციო საზოგადოება "რუსეთის მემორიზაციული კომპანია" შპს "რუსთავი არეს კომპლუზური კომპინატიუ" გადაცე-
ფაილი, 70 მილიონ დოლარად შე-
დასეული კონტეა უკან უბრუნ-
დებე. გუშინ რუსთავის სასამარ-
თული "რმკ"-ს რეაბილიტაციის
მმართველის მაღაზი აღმირიშ-
ვლის სარეკლე დაავაყციფილი
და საჯარი რეესტრის "რმკ"-ის სა-
ხელზე რიკვლე კონტეის სააქ-
ციო საზოგადოების სახელზე აღ-
რიკვლე დაავაღი.

ამ გადაწყვეტილებას რუსთაველი მეთაურობებიდან ორი წლის განმავლობაში ელოდებოდა. ასობით ადამიანი ლაშის ყოველკვირეულად მანქანაში მიტივტივებს, დადიოდა სასამართლო პროცესებზე და სამართლიანობის აღდგენას ითხოვდა. პარადივსა, მაგრამ გემინ რუსთაველს სასამართლოს დარბაზი ცარიელი იყო. იქ მხოლოდ ხუთი კაცი იჯდა, ხუთი პენსიონერი მეთაურობები, რომლებმაც არ იცოდნენ, გახარებოდათ თუ არა იმის აღსრულება, რასაც ამდენი ხნის მანქანაში ითხოვდნენ.

“რუსთავეის სასამართლოს 2004 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით, რომელიც უზენაესმა სასამართლომ საპოლიო დელამიდატოვა 2005 წლის 4 თებერვალს, მეტალურგიულ კომბინატს “რგ”.ზე გახსნილზელი კონტრა დელერებმა. ამ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მიმდართო საჯარო რეცესრს, რომელმაც, თავის მხრივ, მოითხოვა ცნობა საგანდასახადო ინსპექციიდან დელალიანების არარსებობის შესახებ. იმის გამო, რომ “რგ”.ს ერთი ცხობა დაჯალბოდა, ასეოა და-

მოყვებული აქვს იმითუკისა და გირანზნობის უფლებაც, საჯარო რეესტრი აქონება გადაფორმებზე უარს ეხედება. ჩვენ მიემართეთ სასამართლოს მოთხოვნით, რომ დედაკლებინა საჯარო რეესტრისათვის ეს ქონება მეტალურგიული კომბინატის სახელზე აღირიცხა," - განუცხადა "24 საათს" რეაბილიტაციის მმართველმა.

"ახალი საგადასახადო კო-

**"აზნოდინს" გაკრთიწიბა
დანიწყო**

რამდენიმე დღის წინ რუსთავის სასამართლომ განიხილა და დააკმაყოფილა საქართველოს ფინანსთა მინისტრის სარჩელი, "აზოტის" რეაბილიტაციის შეწყვეტისა და მისი ვაკუტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე.

საქციო საზოგადოება "აზო-
ტის" პრესცენტრის ინფორმაცი-
ით, გაკოტრების მმართველად
ზურაბ იაშვილი დანიშნა.
"გაკოტრების პროცესის
მთავარი მიზანია, რომ საწარმო
გათავისუფლდეს ვალდებულ
და არ იყოს იმის შიში, რომ მო-

ვალე პროდუქციას დააყადდეს. ასევე, გაუთავებელი სასამართლო პროცესების თავიდან ასაცილებლად, სანარმო ერთი წამითაც არ შეწყვეტს ფუნქციონირებას და გააგრძელებს მუშაობას. არავითარი შეზღუდვა არ იქნება კადრების კომპლექტაციის მხრივ. შედეგი ეტაპი ქარხნის გაყიდვა იქნება. ვისაც დაუფიქვია "აზონი", სწორედ მას მოეცემა რამდენიმე აუცი-

ლებელი პირობის შესრულება. კერძოდ, ქარხანა მცინარუნების პროდუქცი, ხელფასები უნდა გაიზარდოს და საწარმოში უნდა ჩაიდოს დიდი ინვესტიცია, რომელიც ფუხზე დაყვანებს ქარხანას," - ასეთია "აზოტის" გაკოტრების მმართველის პირველი განცხადება პრესისათვის, რომელიც ქარხნის პრესსამსახურმა გაავრცელა. მათივე ინფორმაციით, გაკოტრების პროცესი დასაბოლოებთ ორ თვეში უნდა დასრულდეს და საწარმო პრივატიზაციისთვის მზადდეს.

“გაეკორების შესახებ არსებული კანონი ითვალისწინებს, რომ დადგინდება სანარბოსი არსებული ქონება და ის დანებრესებულ ინვესტორს მიეყიდება, მანამდე იგი არ გახსნისდება, პრაქტიკა, ამ ორი თვის განმავლობაში ვეცდებით, ყველა სადავო ობიექტს სანარბოს დაეუბრუნოთ,” - აცხადებს “აზოტის” გაეკორების მმართველი.

მაია მოსიაშვილი

ქველმოქმედება არარაღიბიური ნიშნით

გუშინ თბილისისა და მცხეთის საზღვარზე, "ზეთელის სოციალურ ცენტრში", მოხუცთა თავშესაფარი გაიხსნა. ამერიდან, 30 მოხუცს შესაძლებლობა ეძლევა, ევროპულ დონეზე მოწყობილ სახლში იცხოვროს. მოხუცების კომფორტულ ცხოვრებაზე უცხოელმა დიპლომატებმა და სხვადასხვა ქვეყნებისა და ქრისტიანული ეკლესიების წარმომადგენლებმა იზრუნეს. ცენტრის დამფუძნებლების თქმით, აქვე დაიდგეს ბინას სხვა სოციალური სამსახურები ბავშვებისათვის, მარტოხელა დედებისა და ობლებსათვის.



ზეთელის სოციალური ცენტრის" გახსნა.

თამარ დვალის

"თბილისში არის რამდენიმე უფასო სასადილო, სადაც სოციალურად დაუცველ ფენას შესაძლებლობა ეძლევა, უფასოდ მიიღოს საკვები. ძალიან მიხარია, რომ დღეს გაიხსნა მოხუცებულთა სახლი. მართალია, ორგანიზაცია "კარიტასში" არის მსგავსი დაწესებულება, თუმცა იქ ღამის გასათევია არ არის. ეს ცენტრი ბაპტისტური ეკლესიის თაოსნობით დაარსდა, მაგრამ მისასაღმებელია, რომ აქ მოხუცები რელიგიური ნიშნით არ შეირჩევიან. ვთქვით, რომ ამ ნაბიჯით კეთილი ნება იქნა გამოვლენილი. მოხუცებზე ზრუნვა ხომ ჩვენი მთავარი პრიორიტეტია," - განაცხადა მოხუცთა თავშესაფარში მისულმა ქალაქის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

რადგანაც ახლად გახსნილი ცენტრი თბილისისა და მცხეთის საზღვარზე მდებარეობს, მის პრეზენტაციაზე წითელი ლენტეხი ორგანო მხარის წარმომადგენელმა, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა გასილ მაღალფერობი და თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ერთობლივად გაჭრეს. პრეზენტაციას ესწრებოდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიგია უგულავა და საელჩოს წარმომადგენლები.

გოგი თოფაძე - მეცენატი და ქველმოქმედი

"ქართული კულტურის მეცენატის" პირველი ოქროს მედალი კომპანია "ყაზბეგის" პრეზიდენტს გოგი თოფაძეს მიანიჭეს

გოგი თოფაძისა და კომპანია "ყაზბეგის" საქველმოქმედო საქმიანობაზე დაუსრულებლად შეიძლება ისაუბროს საქმეში ჩახედულმა კაცმა. არ დარჩენილა ჩვენი ყოფა-ცხოვრების არც ერთი სფერო, რომელსაც მისგან მხარდაჭერა და ფინანსური დახმარება არ მიეღოს. გოგი თოფაძისათვის, როგორც ჭეშმარიტად ქართველ ბიზნესმენსთვის და, უბრალოდ, ადამიანისათვის საქველმოქმედო საქმიანობა ღირსების, კაცურკაცობის საკითხია და არა - იძულებითი ქმედება. "ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა" მისთვის სისხლმორცეული უკვე დიდი ხნის წინ იყო, როცა ეს ტერმინი საქართველოში არც კი არსებობდა.

საქართველოში, სამუხაროდ, ქველმოქმედების ხელშემწყობი კანონმდებლობა დღემდე არ არსებობს, რაც ბიზნესს ამგვარი საქმიანობის სტიმულს უკარგავს. მხოლოდ რამდენიმე კომპანიის დასახელება შეიძლება, ვინც უკიდურესი გაჭირვების ფაშს ქართულ კულტურას, მეცნიერებას და სპორტს მუდამ გვერდით ედგა და ბევრი დარგი სწორედ კონკრეტული ადამიანების გულხეობამ, პატრიოტიზმად და ეროვნულ ფასეულობებზე ზრუნვის პასუხისმგებლობამ გადაარჩინა.

გოგი თოფაძის მეგობრებისაგან მსმენია, რომ თოფაძე საქველმოქმედო საქმიანობით ჯერ კიდევ კომუნისტურ ეპოქაში იყო აქტიურად დაკავებული, როცა დიდი წარმოებებს ედგა სათავეში. ქართული ფეხბურთის მოყვარულებმა და საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა კარგად იცან, რა წვლილი შეიტანა თოფაძის თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა ლეგენდარული გუნდის დახმარებაში 70-80-იან წლებში, როდესაც ამ გუნდს ასევე ლეგენდარული ნოდარ ახალკაცი ედგა სათავეში. მაშინ ამ საქმიანობას არც ქველმოქმედება ერქვა და მასზე ხმაბალა საუბარს ერიდებოდნენ კიდევ. თოფაძეს არც დღეს უყვარს საკუთარი ქველმოქმედების აფიშირება, თუმცა ტრადიციებს არ ღალატობს და პრინციპებს არ იცვლის. მაგალითისათვის იმ ფაქტის აღნიშვნაც კმარა, რომ ფეხბურთში საქართველოს ნაკრების ეროვნული სპონსორობა კომპანია "ყაზბეგმა" ქართული ფეხბურთისათვის განსაკუთრებით კრიზისულ პერიოდში კვლავ თავის თავზე აიღო.

1994 წლიდან, როცა "ყაზბეგი" დაარსდა, ჩვეულებრივ ამბად იქცა მისი ლოგოს გამოჩენა ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ღონისძიებასა თუ პროექტებში. თავდაპირველად ეს საქველმოქმედო საქმიანობა შედარებით მიერძალეულ ხასიათს ატარებდა. თუმცა ქველმოქმედების მასშტაბები, ისევე როგორც საქველმოქმედო საქმიანობის

არეალი, წლიდან წლამდე იზრდებოდა. 1998 წლიდან ოფიციალურად დაარსდა გოგი თოფაძის საქველმოქმედო ფონდი, რომლის საქმიანობაც მთლიანად სხვადასხვა სახის პროექტების განხილვასა და ფინანსირებაზე მიიმართა. დღემდე ფონდის ძირითადი დონორი "ყაზბეგის" სისტემაში შემავალი 38 სხვადასხვა სიმძლავრისა და პროფილის საწარმოა.

გოგი თოფაძის საქველმოქმედო ფონდი პრიორიტეტად განათლებასა და მეცნიერებას, კულტურასა და ხელოვნებას, ჯანდაცვასა და სოციალურ სექტორს, აგრეთვე სპორტისა და მცირე ბიზნესის წახალისებას მიიჩნევს.

ციფრები თვალსაჩინოა: 2001 წელს ქველმოქმედების მიზნით 900 ათასი ლარი გაიყა, 2002 წელს - 850 ათას ლარზე მეტი, 2003 წელს - 900 ათასი, 2004წელს 875 ათასი ლარის ფარგლებში.

განათლებისა და მეცნიერების სფეროების დახმარებას ბევრი ერიდება. გოგი თოფაძე კი არა მარტო ეხმარება ამ სფეროებს, არამედ ეს დახმარება ტრადიციადაც კი აქცია: კერძოდ, ფონდი თბილისის 6 სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო, სამედიცინო, ტექნიკურ და პედაგოგიურ უნივერსიტეტებში, თეატრალურ ინსტიტუტსა და კონსერვატორიაში) გოგი თოფაძის სახელობით სტიპენდიებს გასცემს. გარდა ამისა, სტიპენდიები აქვთ დანიშნული უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებსაც, ფონდს 60 სტიპენდიაწმი ჰყავს.

სოლიდური თანხები ასევე იხარჯება სკოლების შეკეთებაზე და მოსწავლეთა (განსაკუთრებით, სპეციალური რეგიონებში მცხოვრებთა) უზრუნველყოფაზე. საქველმოქმედო ფონდისა და "ყაზბეგის" დახმარებით გარემონტდა ქართული სკოლა ვლადიკავკაზშიც. ამ პროექტის ფარგლებში ფონდმა შეიძინა სახელმძღვანელოები საინგლისო ქართული სკოლებისათვის. ფონდი აფინანსებს ნიჭიერი სტუდენტების საზღვარ-



გარეთ სასწავლებლად გამგზავრებასაც - დღემდე გოგი თოფაძის ფონდის დაფინანსებით არაერთმა ახალგაზრდამ მიიღო საზღვარგარეთ განათლება.

კულტურის სფეროში უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა გოგი თოფაძის

ინიციატივით დაარსებული ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის პრემია, რომლის ფონდში 40 ათასი ლარი გახლავთ და რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ლიტერატურისა და თეატრალური ხელოვნების დარგში განუული ღვაწლისთვის

ბანკთან მოლაპარაკებები 2003 წლის თებერვალში გაიმართა, ხოლო პარლამენტის მიერ მისი რეპტივიაციის შემდეგ, იმავე წლის 18 აგვისტოს პროექტი ეფექტური (სკოლების) რეაბილიტაციის პროექტის თაობაზე მსოფლიო

მეგახსენებთ, რომ დაზიანებული განათლების ობიექტების (სკოლების) რეაბილიტაციის პროექტის თაობაზე მსოფლიო

ერთობლივად შეისწავლა მინისტრთა დაზიანებული შენობები და შეიმუშავა რანჟირების შემდეგ კრიტერიუმები: 1. შენობის დაზიანება აღემატება მე-2 ხარისხს; 2. შენობის ფართი არ არის გაქირავებული სხვა კერძო სტრუქ-

ის. რომ კომპანია "ყაზბეგის" დამფუძნებელი. ბიზნესმენი გოგი თოფაძე პირველია, ვინც "ქართული კულტურის მეცენატის" ოქროს მედლით დაჯილდოვდა. შემთხვევითი არ არის, კომპანიის არსებობის 10 წლის მანძილზე "ყაზბეგს" ქველმოქმედების მიზნით 8 მილიონი ლარი აქვს დახარჯული-მართლაც. შთამბეჭდავი ციფრია.

ცნობილი მეცენატი გოგი თოფაძე თვლის, რომ "ყაზბეგს" იმიტომაც აქვს ასეთი მასშტაბის ქველმოქმედება განხორციელებული, იმიტომაც შეუძლია ასე გულუხვად იზრუნოს ქართულ კულტურაზე. მეცნიერებასა და სპორტზე, რომ კომპანია მთლიანად ქართული კაპიტალით არის შექმნილი. ამდენად საქველმოქმედო საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრა არავისთან არა აქვს შესათანხმებელი, შესაბამისად საქმიანობის უმთავრესი საგანი ეროვნული საგანძურის გადარჩენასა და განვითარებაზე ზრუნვაა.

გაიცემა. პრემია უკვე ორჯერ გაიცა და მისი მფლობელები გოდერძი ჩოხელი, რობერტ სტურუა, ჯანსუღ კახიძე, თამაზ და ოთარ ჭილაძეები გახდნენ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფონდის მიერ დაფინანსებული ჰიანის-ტოა საერთაშორისო კონკურსი, რომელიც უდიდესი წარმატებით ჩატარდა თბილისის კონსერვატორიაში. კონსერვატორიის მოსწავლის რეაბილიტაციისათვის ფონდი ყოველწლიურად სოლიდური თანხას გამოყოფს. გოგი თოფაძე და კომპანია "ყაზბეგი" კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვისაც ზრუნავენ, რამდენიმე ეკლესია სწორედ ფონდის უშუალო მონაწილეობით შეკეთდა: მრავალძალის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია რაჭაში, თერჯოლისა და ხონის ეკლესია და სხვა. "ყაზბეგის" მიერ აშენდა ახალი ეკლესია რუსთავეში.

დიდი ამაგი მიუძღვით კომპანია "ყაზბეგსა" და გოგი თოფაძის ფონდს ქართული სპორტული სამყაროს წინაშე. გოგი თოფაძემ პირადი მაგალითით იცის, რამხელა ბრძოლა სჭირდება წარმატების მიღწევას და მის შენარჩუნებას. ამიტომაც უდავს მხარში ფინანსურად და მორალურად იმ ადამიანებს, ვინც წარმატებისთვის და საკუთარი ქვეყნის ღირსებისათვის თავდაუზოგავად იღვწის. ფონდს არა მარტო ტიტულოვანი სპორტსმენებს - (ოლიმპიური ჩემპიონები ზურაბ ზეიდაური და გიორგი ასანძი, მოჭადრაკე ზაადურ ჯოხაია, სამ-

ტოსთან).

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის ინფორმაციით, პროექტის საქმიანობის გამჭვირვალობის და საჯაროობის მიზნით, შესაბამისი სამინისტროებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით საგანგებოდ შეიქმნა სატენდერო შემფასებელი კომისია, რომელიც ღია ეროვნული სამშენებლო ტენდერის გახსნაში მონაწილეობს, აფასებს ტენდერის შედეგებს და ადგენს საბოლოო რეკომენდაციას გამარჯვებულ კონკურსანტებთან კონტრაქტების მინიჭებაზე. საზოგადოებას და სკოლის ადმინისტრაციას, როგორც მომხმარებლებს, საშუალება აქვთ, ობიექტების რეაბილიტაციის სხვადასხვა ეტაპებზე მონაწილეობა მიიღონ მონიტორინგში და შეაფასონ საქმიანობა.

რაც შეეხება თბილისის N31-ე და N124-ე საშუალო სკოლის შენობებს, რომლებიც დასრულებული სახით გუშინ ჩაბარდა მეპატრონეებს, ფუნდამენტიდან სახურავამდე მთლიანად შეკეთდა. N31-ე სკოლის 480 და N124-ე სკოლის 1700 მოსწავლე კომფორტულ და კეთილმოწყობილ სკოლებში გააგრძელებს სწავლას. რეაბილიტირებული სკოლების გახსნის ცერემონიას სსიფ-ის ხელმძღვანელობასთან ერთად მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, თბილისის განათლების განყოფილების გამგე, ისანი-სამგორის რაიონის გამგებელი და თურქეთის საელჩოს კულტურის ატაშე დენსერენი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის დირექტორის კარლო ბარდაველიძის თქმით, "სარემონტო სამუშაოების წარმატება არტუო ილია გახლავთ, რადგან ისინი სასწავლო პროცესის შეუწყვეტლად, მასთან პარალელურად მიმდინარეობდა".



თბილისის №31-ე საშუალო სკოლა რეაბილიტაციის შემდეგ.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის დირექტორის კარლო ბარდაველიძის თქმით, "სარემონტო სამუშაოების წარმატება არტუო ილია გახლავთ, რადგან ისინი სასწავლო პროცესის შეუწყვეტლად, მასთან პარალელურად მიმდინარეობდა".

რეგვა თაქთაქიშვილი

მოლდოვას რუსული "ხიზმაზის" დავიწყება სურს

საქართველოს კავალკავალ რუსეთის ჯარების ქვეყნიდან გაყვანა პარასკევს მოლდოვაშიც კატეგორიულად მოითხოვა. ქვეყნის პარლამენტმა მიიღო მიმართვა, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთმა დნესტრისპირეთიდან ჯარები მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე უნდა გაიყვანოს.

ნიკა თარაშვილი

“რუსეთმა ჯარი და შეირა-ლება უნდა გაიყვანოს მოლდო-ვას აღმოსავლეთ რაიონებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 31 დე-კემბრისა. მოლდოვა თხოვნით მიმართავს ეუთო-ს, შეიქმნას რუსული ჯარებისა და შეიარა-ლების გაყვანის საერთაშორისო მექანიზმი,” - ნათქვამია პარასკ-ევს მოლდოვას საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ მიმართ-ვაში.

მოლდოვა არ საჭიროებს რაი-მე სახის უცხოურ სამხედრო გა-რანტიებსა და უცხოური ჯარების ყოფნას ქვეყნის ტერიტორიაზე, - ასე გაამყარა პარლამენტის მო-თხოვნა პრეზიდენტმა ვლადიმირ ვორონინმა.

“მიგვაჩნია, რომ რუსეთის ჯარების საბოლოო გაყვანა, რუსეთის ფედერაციის მნიშვნე-ლური წვლილი იქნება დნესტ-რისპირეთის კონფლიქტის მოგ-ვარებაში, რომელსაც ჩვენი ხა-ლხი უმაღლეს შეფასებას მისც-ევს,” - ხაზს უსვამს ვორონინი.

პარლამენტის მიმართვა რუ-სული ჯარების გაყვანის მოთხო-ვნის შესახებ დნესტრისპირეთის ტერიტორიის დემოლტარიზაცი-ის აუცილებლობით არის განხი-რობებული. კონფლიქტის ზონის სრულ განიარაღებას უკრაინის მიერ შემუშავებული სამშვიდობო გეგმა ითვალისწინებს. კიევისა და

კიშინიოვის გათვლა მარტივია - რუსული სამხედრო მხარდაჭერის გარეშე, დნესტრისპირეთის სეპა-რატისტული რეჟიმი იგორ სირი-ნოვის მეთაურობით დიდხანს ვერ გაძლებს (მით უმეტეს, რომ იგი კიშინიოვის მიერ კონტროლირე-ბულ დანარჩენ მოლდოვასა და უკ-რაინას შორის არის მოქცეული). ზოგიერთი ექსპერტი მიმდინარე წლის შემოდგომაზე ტირასპოლში “ხავერდოვანი რევოლუციის” გა-მეორების წინასწარმეტყველებ-საც კი აკეთებს.

შესაძლოა, ეს ვარაუდი არც-თუ უსაფუძვლო აღმოჩნდეს. საქ-მე ისაა, რომ დნესტრისპირეთში, რუსების გარდა, მოსახლეობის მესამედს უკრაინელები და, თით-ქმის იგივე პროპორციით, მოლ-დოველები შეადგენენ. ასე რომ, მოლდოველ პოლიტიკოსებს “აჭა-რის რევოლუციის” მსგავსი სცე-ნარის გამოერების იმედი აქვთ.

თუმცა, მოვლენების ასეთი განვითარება მხოლოდ იმ შემთხ-ვევაში იქნება შესაძლებელი, თუ, პირველ რიგში, რუსი სამხედროე-ბი გავლენ კონფლიქტის ზონიდან და უკვე შემდეგ დაეგმილ არჩე-ვებში კიშინიოვისადმი შეტ-ნაკ-ლებად ლოიალური ძალები მოე-ვლენ სათავეში. ამისთვის კიშინი-ოვი წინასწარ ნიადაგს იმზადებს და დნესტრისპირეთის არჩევნებ-ში საერთაშორისო დამკვირვებ-ლების დასწრებას მოითხოვს.

მაგრამ, რასაკვირველია, ჯერ რუსი სამშვიდობებისა და რუსე-



რუსული სამხედრო მხარდაჭერის გარეშე, დნესტრისპირეთის სეპარატისტული რეჟიმი დიდხანს ვერ გაძლებს.

თის მე-14 არმიის დარჩენილი ნა-წილის გაყვანა უნდა მოხერხდეს. “ჩვენ ვერ ვხედავთ მოლდოვის ტერიტორიაზე რუსი სამხედრო-ების ყოფნის რაიმე პოლიტიკურ ან გეოპოლიტიკურ საფუძელ-ებს. დარწმუნებული ვარ, რომ მას ვერ ხედავს რუსეთის დლე-ვანდელი ხელმძღვანელობაც,” - ამიტომ აცხადებს ვორონინი.

მოლდოვას პრეზიდენტის თქმით, “მოლდოვას სახელმწიფ-ოს კეთილი ნება (რომელმაც ღი-ად უნდა საკუთარ თავს პოლიე-

თნიკური), მოლდოვაში რუსულ კულტურასთან, ენასთან, ქვეყნის მთელ რუსულენოვან მოსახლეო-ბასთან სათუთი დამოკიდებულე-ბა - საუკეთესო არგუმენტია იმი-სა, რომ ჩვენ რუსეთის ფედერა-ციასთან რაიმე სახის ობიექტური წინააღმდეგობები არ გვაქვს”.

რაც შეეხება დნესტრისპირე-თში მყოფ სამშვიდობებს, მოლ-დოვა და მეგობარი ქვეყნები (პირ-ველ რიგში, უკრაინა) მათი საერ-თაშორისო შემაღვენლობის “ცი-სფერი ჩაფხუტების” ჩინაცვლებ-

ის წინადადებას აყენებს.

ასე რომ, “რუსული ჩექმის” ორასწლიანი არსებობა ისტორი-ულ ვლახეთში, შესაძლოა, მალე დამთავრდეს.

მოლდოვას მოთხოვნას კრემ-ლის ოფიციალური პასუხი ჯერ-ჯერობით არ მოჰყოლია. თუმცა, უკვე გაიხმა რუსეთის სახელმწი-ფო სათათბიროს სიმპტომური გა-დოვა და მეგობარი ქვეყნები (პირ-ველ რიგში, უკრაინა) მათი საერ-თაშორისო შემაღვენლობის “ცი-სფერი ჩაფხუტების” ჩინაცვლებ-

ის წინადადებას აყენებს. ასე რომ, “რუსული ჩექმის” ორასწლიანი არსებობა ისტორი-ულ ვლახეთში, შესაძლოა, მალე დამთავრდეს.

მოლდოვას მოთხოვნას კრემ-ლის ოფიციალური პასუხი ჯერ-ჯერობით არ მოჰყოლია. თუმცა, უკვე გაიხმა რუსეთის სახელმწი-ფო სათათბიროს სიმპტომური გა-დოვა და მეგობარი ქვეყნები (პირ-ველ რიგში, უკრაინა) მათი საერ-თაშორისო შემაღვენლობის “ცი-სფერი ჩაფხუტების” ჩინაცვლებ-

ქაბულში იტალიელი მძევალი გაათავისუფლეს

ავღანეთში თითქმის ერთთვიანი ტყვეობის შემდეგ საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია “ქეარ ინტერნშლ“-ის 32 წლის თანამშრომელი კლემენტინა კანტონი გაათავისუფლეს და სამშობლოში, იტალიაში დააბრუნეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, თუ მხედველობაში მივიღებთ 24-დღიან ტყვეობას, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ნინო ტიკარაძე

პარასკევს დილით ქაბულის აეროპორტი დატოვა კლემენტინა კანტონი. მამისა და ძმის თანხ-ლებით, იგი სამშობლოში იტალი-ის სამთავრობო თვითმფრინავით გაემგზავრა.

16 მაისს ავღანეთის დედაქა-ლაში კლემენტინა კანტონის ოთხი შეირაღებული პირი დაესხა თავს, იარაღის მუქარით მანქანი-დან გადმოიყვანა და გაიტაცა.

32 წლის იტალიელი საერთა-შორისო ჰუმანიტარული დახმა-რების პროგრამის განხორციელე-ბის მიზნით იმყოფებოდა ავღანე-თში. პროგრამა 10 ათასზე მეტი ქვერივისა და მათი შვილების მხა-რდაჭერას ითვალისწინებდა.

“მისი გათავისუფლება ავღა-ნელი ხალხისა და მთავრობის დაუზოგადი შრომის შედეგია; ასევე, დიდია ამ საქმეში ადგი-ლობრივი ლიდერების წვლილიც

- ადამიანებისა, რომლებიც ში-ნაგან საქმეთა სამინისტროს სა-ხელით, მოლაპარაკებებს აწარ-მოებდნენ გამტაცებლებთან. 24 დღის განმავლობაში ცვდილობ-დით საქმის უმტიკიუნელოდ მოგვარებას - არც დამთბაზე წავედით და არც გამოსასყიდი გადავიხადეთ. თუმცა, სანად-ელს მაინც მიაღწიეთ... ამდენი ხნის ტყვეობის შემდეგ თავს კა-რგად გრძნობს... კლემენტინა კანტონი ქვერევებს, ომისგან ყველაზე მეტად დაზარალებულ ადამიანებს უმსუბუქება ტკიე-ილს”, - განაცხადა ავღანეთის ში-ნაგან საქმეთა მინისტრმა ალი აჰ-მად ჯალალომ და იქვე დასძინა, რომ გათავისუფლების შემდეგ კანტონი ტელეფონით ესაუბრა დედამისს მილანში და უთხრა, რომ თავს კარგად გრძნობს.

კლემენტინას გათავისუფლე-ბის ამბავმა არა მხოლოდ მისი ნა-თესვალე და ახლობლები გაახა-რა, არამედ ორ დედაქალაქში - ქა-



თითქმის ერთთვიანი პატიმრობის შემდეგ კლემენტინა კანტონი სამშობლოში დაბრუნდა.

ბულსა და რომში მცხოვრები გუ-ლშენატკიერებიც. იტალიის საგა-ერო საქმეთა მინისტრმა ჯანფრან-კო ფინიში განაცხადა, რომ 24-დღიანი მოლოდინის შემდეგ კან-ტონის უფებლად გათავისუფლე-ბა “უდიდესი შეება იყო მთელი იტალიელი ხალხისთვის”.

საერთაშორისო ჰუმანიტარე-ლი ორგანიზაცია “ქეარ ინტერნე-შნლი” შეუერთდა კლემენტინას ოჯახის წევრებს და გულისხმიე-რებისა და მხარდაჭერისთვის დი-დი მადლობა გადაუხადა იტალიის საელჩოს ქაბულში, ავღანეთის მთავრობას, “ავღანელ ქვერეთა ჰუმანიტარული დახმარების” თა-ნამშრომლებსა და, ასევე, ამ პრო-გრამაში მონაწილე ყველა ქვერის, რომელიც გამუდმებული დემონს-ტრაციებით აქტიურად მოითხოვ-და იტალიელი მძევლის გათავი-სუფლებას.

სხვათა შორის, უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ერაცსა და ავღანეთში იტალიის მოქალაქეთა გატაცების ეს უკვე მეოთხე შემ-თხვევია. მართალია, ზოგ შემთხ-ვევაში, მძევლების გათავისუფ-ლება სპეცოპერაციის შედაგად მოხერხდა, მაგრამ ფაქტია, რომ იტალიელებზე ნადირობა გრძელ-დება - შესაბამისად, იზრდება და-ლუპულ მძევალთა რიცხვიც.

ბაზრობას ფლობდა). ფირგალბექ სურაბალდიევი მხარს უჭერდა პარტია “ნინ ჯი-რჩიუტის”, რომელსაც რესპუბლიკ-ის ყოფილი პრეზიდენტის ბერმეტ აკაევის ქალიშვილი ხელმძღვანე-ლობს. სწორედ ამ პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერით იყრიდა ის კენჭს პარლამენტში.

24 საათი

ბოლივიაში პრაზიდენტის მოვალეობის ხამსრულაბლის კანდიდატურა დაამტკიცეს

ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, ქვეყანა სამოქალაქო ომს გადაურჩა

სამოქალაქო ომის ზღვარზე მყოფი ქვეყანა პარლამენტის გა-დანყევტილებამ იხსნა. ხუთშაბა-თს ბოლივიის საკანონმდებლო ორგანოში ქვეყნის ან უკვე ყოფი-ლი პრეზიდენტის კარლოს მესას თანამდებობიდან წასვლის გან-ცხადება დააკმაყოფილეს. საპრე-ზიდენტო არჩევნების ჩატარებამ-დე კი დეპუტატებმა სახელმწიფო მეთაურის პოსტზე დროებით მო-ვალეობის შემსრულებლად უზე-ნაესი სასამართლოს თავმჯდომა-რე ედუარდო როდრიგესი დაამტ-კიცეს. არჩევნები, ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, 3-დან 6 თვემდე ვადაში უნდა ჩატა-რდეს.

ბოლიველ სამხედრო პირთა განცხადებით, საგუშაგოზე (ე-ცხლის გახსნა ჯარისკაცებს მხო-ლოდ დემონსტრანტთა მხრიდან თავდასხმის გამო მოუწიათ. მიუ-ხედავად იმისა, რომ საპროტესტო აქციები ქვეყანაში ჯერ კიდევ გრძელდება, ხელისუფლებას მისი უმოკლეს ვადებში აღკვეთის იმე-დი აქვს.

ყოფილ პრეზიდენტს თანამ-დებობის დატოვების შესახებ გა-დანყევტილების მიღება მასობ-რივმა საპროტესტო აქციებმა აიძულა, რომელიც, უკვე რამდე-ნიმე კვირაა, გრძელდება ბოლი-ვიაში. ბოლიველითა პროტესტი წავითბისა და გახსი ინდუსტრიის ნაციონალიზაციამ და, ზოგადად, ქვეყანაში არადაამკმაყოფილებ-ლმა ეკონომიკურმა პირობებმა გამოიწვია. ქვეყანა, რომლის მო-სახლეობის რიცხვი 9 მილიონ კაცს აღწევს, სამხრეთ ამერიკაში ერთ-ერთ უღარიბესად ითვლება.

ორი სიტყვით

ჩინეთი. გადაუღებელი წვიმების შედეგად ქვეყნის ჩრდილო-აღმო-სავლეთ რეგიონში, ქალაქ შალანში სკოლაზე მენყერი ჩამოწვა. სტიქიუ-რი უბედურების შედეგად 27 ბავშვი დაიღუპა, 4 გუზო-უკვლოდ დაკარ-გულად ითვლება. მენყერის ჩამოწვლის დროისთვის სკოლაში 352 თო-თხმეტ წლამდე ასაკის მოსწავლე და 30-მდე პედაგოგი იმყოფებოდა. და-უზუსტებელი ინფორმაციით, მენყერმა რიგითი მოქალაქეებიც იმსხე-რლა. სტიქიური უბედურების ზონაში მამულები მუშაობენ. 24 საათი

კავკასია. ჩენჩეთში მილიციის ავტომანქანა დაცხრებულ; დაღუპუ-ლია მილიციის შვიდი თანამშრომელი, ერთი კი - მძიმედ დაიჭრა. ინიცი-დენტი კურჩალო-ავტურის ავტომაგისტრალზე მოხდა. ავტომანქანას ცეცხლი ტყიანდ გაუხსნეს; ისროდნენ ტყვიამერქვევით. თავდასხმის შედეგად დაშავდა კურჩალოს რაიონის დროებითი აპერატიული დაჯ-გუფების შტაბის უფროსი. მილიციელებზე თავდასხმის ფაქტზე აღძრუ-ლია სისხლის სამართლის საქმე. შედინაუის

რუსეთი. პრეზიდენტობაზე პრეტენზიას უკვე ორი კანდიდატი აცხა-დეს - მოჭადრაკე გარი კასპაროვი და რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინი-სტრი მიხაილ კასიანოვი. ვლადიმერ პუტინი 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგან მოქმედი კანონმდებ-ლობის თანახმად, კენჭისყრა მხოლოდ ერთი საპრეზიდენტო არჩევნებ-ის გამოტოვების შემდეგ შეუძლია. “კასპაროვი უფრო მოჭადრაკეა, ვიდ-რე პოლიტიკოსი,” - აცხადებს კარნევის ფონდის მოსკოვის ფლიალის წარმომადგენელი ნიკოლაი პეტროვი. იგი რუსეთში ცენტრალურ ფიგუ-რად მიხაილ კასიანოვს მიიჩნევს. პეტროვი აზრით, კასიანოვი მისადები კანდიდატი იქნება რუსეთის დაცსასული ლიბერალური ოპოზიციისთე-ის, მის წარმატებას კი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში დიდი ფინა-სური მხარდაჭერა უზრუნველყოფს. ცნობისთვის, მიხეილ კასიანოვის კარიერა ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში დაიწყო. პუტინის ხელისუფლება-ში მოსვლის შემდეგ კი პრემიერ-მინისტრი გახდა. თუმცა, მას საკმაოდ საეჭვო რეპუტაცია აქვს და თავის დანინაურებას შორის ელცინის საეჭ-ვო გარემოს უნდა უმაღლოდეს. ჯი-ეირ-ენი

გაერო. ამერიკის შეერთებული შტატები მხარს არ უჭერს გაერო-ს უშ-შიროების საბჭოს რეფორმირების პროექტს, რომელიც გერმანიამ, იაპო-ნიამ, ინდოეთმა და ბრაზილიამ მოამზადეს. ეს ოთხეული უშიშროების სა-ბჭოში ექვსი ახალი მუდმივი წევრის შეყვანას ითხოვს, რომლებსაც 15 წლის განმავლობაში ვეტოს უფლება არ ექნებათ. გაერო-ში აშშ-ს წარმო-მადგენელმა უკვე გააკეთა განცხადება, რომ ვაშინგტონი რეფორმის ამ ვარიანტს მხარს არ დაუჭერს, თუმცა მიზეზები არ დაუეკონერტებია. ამ-ასთან, ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უშიშროების სა-ბჭოში მუდმივ წევრად მხოლოდ იაპონიის მიღების მომხრეა. ჯი-ეირ-ენი

გაცნობები **რომ, კომპანია “პეპსის” საგაზაფხულო აქცია, შეაგროვე და გადაცვალე, დასრულდა. გაიცა 50 000 ფოტოაპარატი. თუ თქვენ შეგროვებული გაქვთ 6 პიკეტი, მოზრძანდით აპაპისის №41-ში, მოიხატეთ ეტიკეტები და დაფიქსირდით ჩვენს მონაცემთა ბაზაში რათა მომავალი აქციის განმავლობაში პრიორიტეტულად მიიღოთ პრიზი.**

სს “საქართველოს სახალხო ბანკი” აცხადებს აუქციონს

აუქციონზე გასაყიდად გამოიტანება მსს “მეტალიკის” კუთვნილი გე-მი “SEA PRINCE”. გემი რეგისტრირებულია საქართველოს საზღვაო ადმი-ნისტრაციის გეშუმის რეესტრში. გამის მონაცემებია: ზომადლის ტიპი ნავთობის ტანკერი აშენების თარიღი და ადგილი თურქეთი, 1977 წ. სიგრძე 56,098 ბრუტო ტონაჟი 499 სიგანე 9,408 ნეტო ტონაჟი 295 სიღრმე 4250 მრავის სიმაღლავრ 656 კგ

გემის საწყისი ფასი შეადგენს 196540 (ასოთხმოცათოთქქსმეტიათას ხუთასორმოცი) ლარს. აუქციონი გაიმართება 2005 წლის 27 ივლისს 12.00 საათზე სს “საქარ-თველოს სახალხო ბანკი”-ს სათაო ოფისში მდებარე ქ. თბილისი ი. ჭავჭა-ვაძის გამზ. №174, მეორე სართული. საკომფერენციო დარბაზი. დამატებითი ინფორმაციისათვის დაირკეთ 55-55-00 დამატებითი 143-146.

განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონის “გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ” მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მო-საღებად წარმოდგენილია II კატეგორიის საქმიანობა-ზე:

1. შპს “ჯორჯიან მაინინგ კომპანის” მიერ ეკოლო-გიურ საძიებო საქმიანობაზე აჭარის მადნიანი რ-ნის ხელვაჩაურის, მერისის და ზულოს მადნიანი კვანძების (ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ზულოს რ-ნები - 1400 კმ 2) ფარგლებში კეთილშობილი ფერადი და იშ-ვიათი მეტალების შესწავლა (პროგნოზირება, ძებნა, ძიება) და მოპოვების პროექტი;
2. შპს “ჯორჯ მაინინგ კომპანის” მიერ საპროექტო

დოკუმენტაცია წიალისეულის შესწავლის საქმიანობა-ზე თეთრიწყაროს, დმანისის, ბოლნისის და წალკის რაიონებში;

3. შპს “არგოს” მიერ თერჯოლის რ-ნის სოფ. სარ-ბევში უალოკოპოლო სასმელების უკა” დამზადების ტე-ქნოლოგიური ინსტრუქცია;

4. შპს “სხივის” მიერ ზესტაფონის რ-ნში “უბანი “შავლა” და უბანი “ხოხოლა-2”-ის ქვიშა-ხრემის გა-მოვლინების დამუშავების პროექტი”;

5. შპს “სანარმო ფირმა შენეებელი 2002”-ის მიერ თელავის რ-ნში, სოფ. შალაურსა და კისისხევში “მიწე-რალური ნედლეულისაგან სამშენებლო მასალების დამამზადებელი სანარმოს პროექტი”;

6. კონცერნ “არქიტავრის” მიერ თელავის რ-ნში,

სოფ. აკურასთან “თევზის სანაშენე და თევზსაჭერი მეურნეობის მოწყობის პროექტი”.

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერი-ლობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმიდ-გენა შესაძლებელია 2005 წლის 26 ივლისამდე გარემ-ოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სა-მსახურში, მის: თბილისი, გულუას ქ. №6.

საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 26 ივლისს 12.00 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუ-ნებრივი რესურსების სამინისტროში.

გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახური

ლიცენზირება "ერთი სარკმლის" დონამდე უნდა გაზარტივდეს

ლიცენზირება უნდა გამარტივდეს. ხელისუფლების და უშუალოდ პრეზიდენტის წინასარჩევნო დაპირების შესასრულებლად პარლამენტს რეგარემქ სესიის მოწვევა მოუხდა. შთავრობის მიერ ინიცირებული შესაბამისი კანონპროექტი კანონდ რაც შეიძლება დროულად უნდა იქცეს - ასეთია მთავრობის დაკვეთა.

საპარლამენტო უმრავლესობამ ყველა ის საკითხი, რომელიც კანონპროექტის "ჩაგდების" მოტივაციად შეიძლება ძველყოფი, წინასწარ - ერთი დღით ადრე, საკმაოდ ხანგრძლივ და დამლულ დაბურულ სხდომაზე გაიხზრა. ამდენად, ლიცენზირების გამარტივების პრეზიდენტისულ გეგმას საკანონმდებლო ორგანოში პირველი მოსმენისას პრობლემები არ შექმნია.

რაც შეეხება თავად პროექტს: საკანონმდებლო ორგანოს ეს დოკუმენტი სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ წარუდგინა. მისი მოტივაცია შემდეგია: დღეს ქვეყანაში არსებული ლიცენზირების წესები მენარმეებს საკმაოდ რთულ ბარიერებს უქმნის. ამის გამო, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის განმარტებით, არსებული ლიცენზიების 80 პროცენტი გასაუქმებელია. შედეგად, კანონპროექტით, რომლის მიზანდაზნაც მთავრობამ, სულ რაღაც, ორიად თვე მოანდომა, ამაჟამად მოქმედი 909 ლიცენზიად ლიცენზირების და ნებართვების სისტემას მხოლოდ 159 დაექვემდებარება.

ამავე კანონპროექტის თანახმად, განისაზღვრება ლიცენზიის სახეები - სარგებლობის, საქმიანობის, გენერალური და სპეციალური ლი-

ცენზიები. სარგებლობის ლიცენზია აუქციონის წესით გაიცემა, რათა სახელმწიფო რესურსებით სარგებლობის უფლება მხოლოდ მაღალი ფასის გადამხდელმა ლიცენზიანტმა მიიღოს.

საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს "ერთი სარკმლის" პრინციპს, რომლის თანახმად, ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო თავად უზრუნველყოფს დამატებითი სალიცენზიო პირობების სხვა უწყებებიდან დადასტურების პროცედურას. თუ ადმინისტრაციული ორგანო ნებართვას კანონით დადგენილ ვადაში ვერ მოახერხებს, მაშინ ლიცენზირება ავტომატურ რეჟიმში განხორციელდება.

საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, ლიცენზიის პირობების დარღვევის შემთხვევაში ნებართვის მფლობელი და ლიცენზიანტი ჯარიმდება, დარღვევების გამოწვევით ნებართვის შემთხვევაში კი, მას ნებართვა ჩამოერთმევა და ლიცენზია გაუუქმდება.

კანონპროექტის მეორედ მოსმენას პარლამენტი მომდევნო პლენარულ სხდომაზე გეგმავს. საკარადულ, პროექტის მესამე მოსმენა და საბოლოო დამტკიცებაც მომავალ კვირაში მოხდება.

24 საათი

"გამათჰქისი" დასახლებაში ელექტროენერგიის მიწოდება ნაწილობრივ აღდგა

